

სამთავრობო კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 2019

#სახელმწიფოზრუნავს
#ყველაქალსაქსსათქმელი
#16დღიანიკამპანია2019

კამპანიის შესახებ

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს მე-10 და მე-13 მუხლების შესაბამისად, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, (შემდგომში უწყებათაშორისი კომისია) როგორც კონვენციის მკოორდინირებელი ორგანო აქტიურად ახორციელებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიებსა თუ ღონისძიებებს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერებისა ამაღლებლებისა და მგრძობელობის გაზრდის მიზნით.¹

უწყებათაშორისი კომისია, წელს უკვე მეორედ შეურთდა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან გლობალურ კამპანიას² და განახორციელა კოორდინაცია, სამთავრობო ეროვნული კამპანიის ეფექტიანი განხორციელების მიზნით.

2019 წლის სექტემბერში, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის კომუნიკაციის სამუშაო ჯგუფის მიერ, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი სამთავრობო კამპანიის 2019 წლის მთავარ თემად განისაზღვრა **სექსუალური შევიწროება**, რაც განაპირობა საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის მაისში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, უწყებათაშორისი კომისიის კოორდინაციით, განისაზღვრა კამპანიის ძირითადი გზავნილი, დაკონკრეტდა სამიზნე ჯგუფები და განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები. გარდა ამისა, შემუშავდა სექსუალური შევიწროების ინსტრუქცია, რომელიც გამოყენებულ იქნა, როგორც დამხმარე მასალა ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

კამპანიის ძირითად გზავნილი: „სექსუალური შევიწროება ადამიანის უფლებების დარღვევაა და ისჯება კანონით.“

კამპანიის ძირითადი ჰეშთეგები: #სახელმწიფოზრუნავს #16დღიანიკამპანია2019
#ყველაქალსაქსსათქმელი

¹ გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით 2017 წელს უწყებათაშორისი კომისიის მიერ დამტკიცდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე 2018-2020 წლების კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით“.

² გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი გლობალური კამპანია 1991 წლიდან ყოველწლიურად იმართება 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. კამპანია მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული პრობლემების აქტუალიზაციას.

საქსაღაღი შვიწრობა
 ადამიანის უღებების დარღვევა
 და ისჯება კანონით!

სექსუალური შვიწროების ფენომენისა და კანონმდებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, 22 სახელმწიფო უწყება გაერთიანდა.



საქსადაური შავიწროება
ადამიანის უფლებების დარღვევა
და ისჯება კანონით!

ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის განმავლობაში ჯამში 62 ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა, რომლებშიც მონაწილეობა 2 000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. სახელმწიფო უწყებების მიერ დარიგდა სპეციალურად კამპანიისთვის შემუშავებული საინფორმაციო და ვიზუალური მასალები, მათ შორის 2017 წელს ჩატარებული [კვლევის](#) ძირითადი მიგნებები და სექსუალური შევიწროების შესახებ დეტალური საინფორმაციო [ბროშურა](#).

შეხვედრები მოსახლეობასთან

- ✓ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, მულტისექტორული გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა. ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები. შეხვედრების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფენომენის გაცნობას, სამართლებრივი მექანიზმებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება. სამუშაო შეხვედრები ჩატარდა: სოფ. იორმულალოში, სოფ. სადახლოსა და ქ.ზუგდიდში, რომლებშიც მონაწილეობა 77-მა ადამიანმა მიიღო;
- ✓ 2019 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით სახალხო დამცველის აპარატის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამმართველოებმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში შეხვედრები გამართეს ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეხვედრების განმავლობაში, სექსუალური შევიწროების გარდა მოსახლეობამ ინფორმაცია მიიღო ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, გენდერულ თანასწორობაზე, ოჯახში ძალადობაზე, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებაზე.
- ✓ კამპანიის განმავლობაში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით, 5 თემატური ტრენინგი ჩატარდა თბილისსა და რეგიონებში ([რუსთავი](#), [ბათუმი](#), [თბილისი](#), [ქუთაისი](#)). ტრენინგებში მონაწილეობა 63-მა ადამიანმა მიიღო.

საქსაღაღი შვიწრობა აღაიანის უფლებების დარღვევა და ისჯება კანონით!

შეხვედრები მოსწავლეებთან და სტუდენტებთან

სამთავრობო 16 დღიანი კამპანიის მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფებად განისაზღვრენ მოსწავლეები და სტუდენტები. შესაბამისად, კამპანიის ღონისძიებების დიდი ნაწილი დაეთმო სექსუალური შევიწროების ფენომენსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდას. ჯამში **შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 1730-მდე მოსწავლე/სტუდენტმა.**

- ✓ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თემატიკაზე არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ შეხვედრები გამართეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა. 3 რეგიონულ შეხვედრაში მონაწილეობა 60-მდე სტუდენტმა მიიღო;
- ✓ საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით, 24 ქალაქში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის. პროკურორებმა შეხვედრის განმავლობაში იმსჯელეს კანონით დასჯად სექსუალურ შევიწროებაზე, მისი გამოვლენისა და აღსრულების მექანიზმებზე, ასევე ქორწინების იძულებაზე, ადევნებასა და ოჯახში ძალადობაზე. შეხვედრებს ჯამში 1170 მოსწავლე/სტუდენტი დაესწრო.
- ✓ სკოლის მოსწავლეებთან 20-მდე საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა გამართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და მართლწესრიგის ოფიცრებმა. შეხვედრებში მონაწილეობა 500-მდე მოსწავლემ მიიღო. შეხვედრების მთავარი თემები გახლდათ: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრაქტიკული საკითხები, გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა, ადრეული ქორწინება, ქორწინების იძულება, ბულინგი, მისი უარყოფითი გავლენები და მისგან თავის დაცვის საშუალებები.



შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან

ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საინფორმაციო შეხვედრებს ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებული სახელმწიფო სერვისებზე სახელმწიფო ფონდის მიერ გორში, ქუთაისში, სიღნაღში, მარნეულსა და ქუთაისში 5 საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომლებსაც ჯამში **150-მდე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომელი დაესწრო.** მუნიციპალიტეტებთან საინფორმაციო შეხვედრები, ასევე, გამართეს იურიდიული დახმარების სამსახურისა და

**საქსპალური შვიწრობა
აღაშიანის უფლებების დარღვევა
და ისჯება კანონით!**

პროკურატურის წარმომადგენლებმაც. მუნიციპალიტეტების ინფორმირებულობის გაზრდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ისევე როგორც სექსუალური შევიწროების ფენომენსა და განახლებულ საკანონმდებლო რეგულაციებზე, მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის საკითხებზე ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის გამდიერებასა და გენდერული თანასწორობის ლოკალიზაციის ხელშეწყობას.


ტრენინგები სახელმწიფო უწყებებში

- ✓ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერით, სექსუალურ შევიწროებაზე ტრენინგები ჩატარდა უწყებების თანამშრომლებისათვის. ტრენინგები მიზნად ისახავდა სექსუალური შევიწროებაზე მათი ინფორმირებულობის გაზრდას და საკითხის როგორც შიდაუწყებრივი პრიორიტეტული მიმართულების წარმოჩენას.
- ✓ კამპანიის განმავლობაში ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე დაეთმო პროფესიული ჯგუფების ტრენინგებს და მათი ინფორმირებულობის, საკითხებისადმი მგრძობელობის გაზრდას. სახელმწიფო ფონდის ორგანიზებით, სახელმწიფო სერვისების შესახებ ტრენინგები ჩატარდათ ჯანდაცვის მუშაკებს, მასწავლებლებს, რესურსცენტრების რაიონული სამმართველოს თანამშრომლებს, მანდატურებსა და პოლიციის თანამშრომლებს.

კამპანია სოციალურ მედიაში და სხვა ღონისძიებები

საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების გარდა, სახელმწიფო უწყებებმა აქტიური კამპანია განახორციელეს სოციალური მედიის გამოყენებით, რომელსაც ასეულობით ადამიანი შეუერთდა.

16 დღიანი კამპანიისთვის სპეციალურად შექმნილი Facebook ჩარჩო, ოფიციალურ განცხადებასთან ერთად გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის ოფიციალურ გვერდზე. უწყებათაშორისი კომისიის წევრმა უწყებებმა და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა კამპანიის



საქსადალური შვიწონრობა
ადამინის უფლებების დარღვევა
და ისჯება კანონით!

მხარდამჭერი გზავნილები განათავსეს უწყებების
ოფიციალურ გვერდებზე.³

საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, კამპანიას ასევე შეუერთდნენ საზღვარგარეთ
საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებიც.

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 16 დღიანი
კამპანიის ფარგლებში, სპეციალურად დამზადდა მისურები, რომლებიც დაურიგდათ
სამინისტროს ცენტრალური და რეგიონალური სამსახურის თანამშრომლებს;
- ✓ სახალხო დამცველის აპარატმა განახორციელა ქუჩის აქცია, რომლის
ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ადგილზე
გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაცია დაინტერესებულ პირებს;
- ✓ ქუჩის აქციით კამპანიას ასევე შეურთდა ქ.
თბილისის მერია. მერიის თანამშრომლებმა
სექსუალური შევიწროების შესახებ
საინფორმაციო მასალა დაარიგეს ქუჩებსა
და საზოგადოებრივ ტრანსპორტში;
- ✓ 2019 წლის 11 დეკემბერს სახალხო დამცველისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის
მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია „ფემიციდის პრევენცია და მონიტორინგი“.
კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა ფემიციდის, როგორც ქალთა მკვლელობის
უკიდურესი ფორმის და სისტემური პრობლემის განხილვა;
- ✓ საჯარო სამსახურის ბიუროს მხარდაჭერით საჯარო დაწესებულებების (მათ შორის სსიპ-
ების) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტებს გაეგზავნათ საჯარო
სამსახურში სექსუალური შევიწროების შესახებ [ვიდეორგოლი](#) და ქალთა მიმართ
ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის შესახებ საინფორმაციო მასალა;
- ✓ განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით,
გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიას ასევე შეუერთდა ეროვნული
ოლიმპიური კომიტეტი და ფრენბურთის, ჩოგბურთის, კალათბურთის, ჭადრაკისა და
ძალოსნობის ეროვნული ფედერაციები.



³ საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადება
<https://www.facebook.com/GeorgianGovernment/photos/a.140309842773595/1511705915633974/?type=3&theater>

საქსადალი შვიწრობა
ადამიანის უფლებების დარღვევა
და ისჯება კანონით!

✓ 2019 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის დასასრულს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და პრემიერ-მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ადამიანის უფლებათა საბჭოს განახლებული სტრუქტურის პრეზენტაცია გაიმართა. განახლებული სტრუქტურა მიზნად ისახავს ეფექტიანი სამთავრობო კოორდინაციის უზრუნველყოფასა და ოთხ განახლებულ პრიორიტეტულ მიმართულებაზე მუშაობას.⁴



⁴ ინფორმაცია ღონისძიების შესახებ http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=198&info_id=74481